BioAGRO
მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი
- CENTER of BIOLOGICAL PROTECTION of PLANTS

14 /01/05

17 ივნისი 2021 წ.

ს.ს. „ავიომობლისტის"ს/კ 208140439 დირექტორს
ბატონ **რუსლან ჯახიას**
პ/ნ: 62006017173

საექსპერტო დასკვნა

ბატონო **რუსლან,**

თქვენი ა.წ. 10 ივნისის მომართვის საფუძველზე, შ.პ.ს. „ბიოაგრო"- მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის ექსპერტების მიერ (შ. ყანჩაველი, ლ. რეხვიაშვილი, კ. კიკორია) 13 ივნისს დაინომრა და ფიტო-სანიტარული მონიტორინგი ჩაუტარდა ქ. თბილისში, ენუქიძის ქუჩა #5-ში ს/კ: 01.19.22.003.001. კერძო ტერიტორიაზე არსებულ 11 ძირ მწვანე ნარგაობას, მათ შორის: 3 ძირ ვერხვს, 2 ძირ თუთას, 1 ძირ აილანთუსს, 2 ძირ ალუბალს, 2 ძირ ვაზს და 1 ძირ ვაშლს.

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ 1 ძირი ვერხვის შტამბი #10 არის ადრეგადანატეხი და ზეხმელი, ხოლო 1 ძირი ვერხვი #11 არის წვერხმელი, აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებული დანარჩენი მცენარეების ფიტო-სანიტარული მდგომარეობა ამ ეტაპზე არის დამაკმაყოფილებელი, მათზე მავნე ორგანიზმები მავნებლებისა და დაავადებების სახით არ გამოვლინდა. შესაძლებელია ჩვეულებრივად გადაირგა აილანთუსის #3, ალუბალის #5 და #6, ვაზის #7 და # 9, მათი დიამეტრებიდან გამომდინარე. მცენარეთა გადარგვა უნდა მოხდეს მხოლოდ არასავეგეტაციო პერიოდში გვიან შემოდგომით. მცენარეთა გადარგვა უნდა განხორციელდეს მესაკუთრის მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილზე, შემდგომი მოვლა-პატრონობით, აგროტექნიკური ნორმების სრული დაცვით, მცენარეთა დიამეტრის მიხედვით შესაბამისი სიღრმისა და სიგანის ორმოს ამოღებით, გადასარგავ მცენარეებს უნდა გააჩნდეს საჭირო მიწის კომი. მცენარეების ამოღება უნდა მოხდეს მიწის კომის დაუშლელად. დარგვის შემდგომ მცენრეთა ფესვის ყელის ირგვლივ უნდა მოეწყოს სარწყავი ჯამი, მოხდეს მათი გამა-

ტელ.: (+995) 790 685884; ელფოსტა: bioagro.ge@gmail.com; ს.კ. 404922394

BioAGRO
მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრი
- CENTER of BIOLOGICAL PROTECTION of PLANTS

14 /01/05

გრება სათანადოდ და ჩატარდეს მორწყვა, ვეგეტაციის პერიოდში კი მცენარეები უნდა გამოიკვებოს (ფესვური და ფოთლივანი) ორგანული ან მინერალური სასუქების გამოყენები, ორჯერ, საჭიროების შემთხვევაში კი განხორციელდეს მცენარეების სხვლა-ფორმირება.

მცენარეთა სახეობრივი შედგენილობა და სხვა მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში რომელიც ფოტოებთან ერთად დასკვნას თან ერთვის.

შ.პ.ს. „ბიოაგრო“ მცენარეთა ბიოლოგიური
დაცვის ცენტრის დირექტორი კ. კიკორია

სამეცნიერო ხელმძღვანელი შ.ყანჩაველი

ლაბორატორიის უფროსი ლ. რეხვიაშვილი

ტელ.: (+995) 790 685884; ელფოსტა: bioagro.ge@gmail.com; ს.კ. 404922394

ქ. თბილისი, ენუქიძის ქუჩა #5(ს/კ: **01.19.22.003.001.**) არსებულ მიწის ნაკვეთზე მწვანე ნარგავების სახეობრივი შედგენილობა და ფიტო-სანიტერული მდგომარეობა, დამკვეთი: ს/ს "ავტომობილისტი" ს/კ **208140439** დირექტორი რუსლან ჯახია პ/ნ **62006017173**					
N	მცენარის სახეობა (ფოთლოვანი ჯიში)	D დიამეტრი 10 სმ	H სიმაღლე (მ)	მდგომარეობა	შენიშვნა
1	ვერხვი	103,4	20	საღი	
2	თუთა	84,5	17	საღი	მრავალშტამბიანი
3	აილანთუსი	24,7	10	საღი	
4	თუთა	44,4	2,5	საღი	
5	ალუბალი	14,3	4,5	საღი	
6	ალუბალი	23	6,5	საღი	
7	ვაზი	4		საღი	
8	ვაშლი	33,8	6	საღი	
9	ვაზი	2,5		საღი	
10	ვერხვის შტამბი	72	3,5	ზეხმელი	ადრე გადანატეხი
11	ვერხვი	103,8	8	წვერხმელი	



ქ. თბილისი, ენუქიძის ქუჩა #5, ს/კ (ს/კ: 01.19.22.003.001.)







ქ. თბილისი, ენუქიძის ქუჩა #5, ს/კ (ს/კ: 01.19.22.003.001.)





